

# წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.  
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



# წაკითხულის გააზრება

IV ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

# ტექსტი №1

კონსტრუქტივიზმი, როგორც სწავლისა და სწავლების მეთოდი, იმ გზებსა და ხერხებს შეისწავლის, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ცოდნას იძენენ. ამ მეთოდის ფარგლებში შემუშავებულია არაერთი სტრატეგია. მათი სწორი გამოყენება დიდწილად სასწავლო პროცესის წარმატებას განაპირობებს, ამიტომ ეს სტრატეგიები მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული.

სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის ერთ-ერთი სტრატეგია – დაკავშირება – გულისხმობს ახალი იდეების დაკავშირებას არსებულ ცოდნასთან. ის უმეტესწილად ახალ თემაზე გადასვლისას გამოიყენება. მასწავლებელმა ამ სტრატეგიას გაკვეთილის ნებისმიერ ნაწილში შეიძლება მიმართოს. მან უნდა დაადგინოს, რა იციან მოსწავლეებმა იმ თემის შესახებ, რომლის ახსნასაც ის აპირებს და სიახლე უკვე ნაცნობს – ნასწავლსა და გამოცდილებით მიღებულ ცოდნას უნდა დაუკავშიროს.

სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის კიდევ ერთი სტრატეგია მოდელირებაა. ამ სტრატეგიას მასწავლებელი მიმართავს რთულ დავალებზე მუშაობისას. ის ცდილობს მოსწავლეთათვის თვალსაჩინო გახადოს ნაბიჯები, რომლებიც დავალების შესასრულებლად საჭიროა. ამ დროს მასწავლებელი უზიარებს მოსწავლეებს თავის შეხედულებას პრობლემის გადაჭრის შესახებ, განუმარტავს მათ, თუ რატომ აირჩია ესა თუ ის გზა და მიუთითებს პრობლემის გადასაჭრელ საკვანძო მომენტებზე.

მასწავლებელმა კლასში რთული დავალების გადაჭრისას ასევე შეიძლება მიმართოს ე. წ. ხარაჩოს სტრატეგიას. ისეთი დავალებების მიცემისას, რომელთა დამოუკიდებლად შესრულებაც მოსწავლეებს გაუჭირდებათ, მასწავლებელი მათ ეხმარება, შემდეგ თანდათან ამცირებს დახმარების წილს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ საქმისათვის თავის გართმევას. „ხარაჩოს“ სტრატეგია სხვადასხვა ტიპის დახმარებას ითვალისწინებს, ესენია: მინიშნებები, შეკითხვების დასმა, არსებულ რესურსებზე მითითება და სხვ. ამ სტრატეგიის მიზანია მოსწავლისათვის არა მარტო კონკრეტული ცოდნის გადაცემა, არამედ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა შემეცნებითი აქტივობების მეშვეობით. ამ სტრატეგიის გამოყენებისას არ არის აუცილებელი, რომ ყოველთვის მასწავლებელი ეხმარებოდეს მოსწავლეს. მცირე ჯგუფების მუშაობისას „ხარაჩოს“ ფუნქცია მოსწავლეებს შორის დისკუსიამაც შეიძლება შეასრულოს.

*ტექსტის გაგრძელება->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

კონსტრუქტივისტული სწავლების ერთ-ერთი სტრატეგია არტიკულაციაა, რომელიც გულისხმობს მოსწავლის წახალისებას, რათა მან შეძლოს საკუთარი აზრების, ფიქრებისა და გადაწყვეტილებების გასაგებად ჩამოყალიბება. მასწავლებელმა კლასში უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს. მცირე ჯგუფებში მუშაობა საუკეთესო პირობაა ამგვარი აქტივობისათვის. საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება ვერბალიზაციის გზით მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში ეხმარება.

კონსტრუქტივისტული სწავლების სტრატეგიაა ასევე რეფლექსია, როდესაც მოსწავლეები თავად ანალიზებენ თავიანთი სწავლის პროცესსა და შედეგს. ამ დროს კარგად მუშაობს შედარების მეთოდი; მაგალითად, მოსწავლე თავის შეხედულებებსა და ნამუშევრებს სხვა მოსწავლეების აზრებსა და ნამუშევრებს ადარებს. ეს მნიშვნელოვანი პროცესია ახალი მასალის ასათვისებლად. ამ გზით მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება უვითარდებათ, ისინი იაზრებენ საკუთარ შესაძლებლობებს და პრობლემური საკითხების გადასაჭრელად გამოყენებული გზების ეფექტიანობასა და ადეკვატურობას.

თანამშრომლობა კონსტრუქტივისტული მეთოდის კიდევ ერთი სტრატეგიაა, რომელიც უკავშირდება სწავლების სოციალურ მხარეს. ის ითვალისწინებს კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები ცოდნას ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში იძენენ. მასწავლებლისაგან მიღებული მითითებებით, რომლებიც საკითხის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, მოსწავლეები სწავლობენ თანატოლებთან თანამშრომლობას, ერთმანეთისაგან კი ბევრ რამეს ითვისებენ.

სტრატეგია – ადაპტირება – გულისხმობს მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისადაგებას მოსწავლეთა შესაძლებლობებთან. ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული მოსწავლის სწავლის ინდივიდუალურ მხარეებს, არა მხოლოდ მათ აკადემიურ უნარებს, არამედ სწავლის სტილსაც. საჭიროა მოსწავლეებს მასწავლებელმა მისცეს საკმარისი დრო ცნებების საფუძვლიანად გასააზრებლად. აუცილებელია, მან თვალყური ადევნოს სწავლის პროცესს და შეძლოს სასწავლო პროგრამების ადაპტაცია სწავლების პროცესთან.

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) წარმოაჩინოს სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის უპირატესობა სწავლების ტრადიციულ მეთოდთან შედარებით.
- (ბ) ხაზი გაუსვას კონსტრუქტივისტული მეთოდით სწავლების მნიშვნელობას თანამედროვე სამყაროში.
- (გ) გაგვაცნოს სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის სტრატეგიები.
- (დ) გამოკვეთოს მასწავლებლის როლი კონსტრუქტივისტულ სწავლებაში.
- (ე) წარმოაჩინოს კონსტრუქტივისტული სწავლების სოციალური მხარე.

2. როგორია ავტორის დამოკიდებულება სწავლების კონსტრუქტივისტული სტრატეგიების მიმართ?

- (ა) ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას „ხარაჩოს“ სტრატეგიას ანიჭებს.
- (ბ) მას საკვანძო სტრატეგიებად რეფლექსია და არტიკულაცია მიაჩნია.
- (გ) მისი პოზიცია ცალკეული კონსტრუქტივისტული სტრატეგიის მიმართ გამოკვეთილი არ არის.
- (დ) ის უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არტიკულაციას, ვიდრე რეფლექსიას.
- (ე) მისთვის ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა სასწავლო მიზნების ადაპტაცია მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.

3. ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი მასწავლებლის მუშაობა მოდელირების სტრატეგიით?

- (ა) მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეს კლასში გამოთქვას საკუთარი აზრი განხილული თემის შესახებ.
- (ბ) რთული საკითხის ახსნისას მასწავლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობებს ითვალისწინებს.
- (გ) მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს შეადაროს თავისი ნამუშევარი თანაკლასელის ნამუშევარს.
- (დ) მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს რთული პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას.
- (ე) მასწავლებელი მოსწავლეებს უთითებს წყაროებს, რომელთა მიხედვით მათ მოცემული საკითხი უნდა გადაჭრან.

4. მასწავლებელი რეფლექსიის სტრატეგიას ძირითადად მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც სურს, რომ:

(ა) მოსწავლეები უფრო კომუნიკაბელურები გახდნენ.

(ბ) მოსწავლეები რთულ საკითხებში სწრაფად გაერკვნენ.

(გ) მოსწავლეები წახალისდნენ და სწავლაში სიბეჯითე გამოიჩინონ.

(დ) მოსწავლეები თავიანთ შესაძლებლობებსა და პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზებში უკეთ გაერკვნენ.

(ე) მოსწავლეს განსაკუთრებულად რთული მასალის ათვისება გაუადვილდეს.



## 5. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) სწავლების პროცესი მაშინ არის წარმატებული, როდესაც მასწავლებელი ერთ გაკვეთილზე კონსტრუქტივისტული სწავლების ყველა სტრატეგიას იყენებს.
- (ბ) არტიკულაციის სტრატეგიის გამოყენებისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, ზედმიწევნით მისდიოს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ გეგმას.
- (გ) კონსტრუქტივისტული სწავლების მიხედვით, მასწავლებელმა მოსწავლეებს რთული საკითხი მარტივად და ამომწურავად უნდა აუხსნას.
- (დ) კონსტრუქტივისტული სწავლება არ ითვალისწინებს მოსწავლისათვის ისეთი დავალების მიცემას, რომელსაც ის დამოუკიდებლად თავს ვერ გაართმევს.
- (ე) დაკავშირების სტრატეგიის გამოყენებისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა ცოდნასა და უნარებს ფლობენ მოსწავლეები.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) კონსტრუქტივისტული სწავლების მიხედვით, წარმატებულია სწავლების მხოლოდ ის პროცესი, რომელსაც მასწავლებელი წარმართავს.
- (ბ) კონსტრუქტივისტული სწავლების მიხედვით, მცირე ჯგუფებში მუშაობა ზოგ შემთხვევაში გამართლებული და ეფექტიანია.
- (გ) კონსტრუქტივისტული სწავლება ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.
- (დ) კონსტრუქტივისტული სწავლების ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენებისას მასწავლებელი ნაკლებ აქტიურობას ამჟღავნებს.
- (ე) კონსტრუქტივისტული სწავლების მიხედვით, მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა.

7. რომელი სტრატეგიის გამოყენებაა ყველაზე ეფექტიანი კლასში ახალი მასალის ახსნისათვის?

- (ა) დაკავშირების
- (ბ) მოდელირების
- (გ) ადაპტირების
- (დ) თანამშრომლობის
- (ე) „ხარაჩოს“

## ტექსტი №2

I აზროვნება, პრობლემის გადაჭრა რუტინულ, დამღლელ გონებრივ ოპერაციებთან იწვევს ასოციაციას, შემოქმედებითობა, ანუ კრეატიულობა კი თითქოს უფრო საიდუმლოებით მოცული და ამაღლებული პროცესია. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგია კრეატიულობას აზროვნების, კერძოდ, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს, რომელსაც აქვს საწყისი მდგომარეობა, მიზანი და მოქმედებები, რომლებსაც მიზნამდე – პრობლემის გადაჭრამდე – მივყავართ, ოღონდ შემოქმედებითი აზროვნების მიზანი და შედეგი ახალი, ორიგინალური უნდა იყოს.

II თავის მხრივ, აზროვნების ყოველი აქტი იმთავითვე შემოქმედებითი ხასიათისაა, რადგან ამ პროცესის შედეგად ადამიანი ახალ ცოდნას იძენს, ნებისმიერი პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა კი პიროვნების გამოცდილებას ახალი შინაარსით ამდიდრებს. თუმცა მკვლევრები კრეატიულობის ცნების შემოტანით ყურადღებას ამახვილებენ აზროვნების პროცესის შედეგად მიღებულ ისეთ პროდუქტზე, რომელიც სრულიად ახალია არა მხოლოდ პიროვნების ინდივიდუალური გამოცდილებისათვის, არამედ საზოგადო ცოდნისთვისაც. გარდა ამისა, შემოქმედებითი აზროვნების პროდუქტი არა მარტო ახალი, არამედ ამავე დროს მაღალი ხარისხისა და სასარგებლო, ფასეული უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

III კრეატიული ადამიანები ქმნიან შემოქმედებით პროდუქციას, აქვთ გამოგონებები, აღმოჩენები, ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს, რევოლუციურ პარადიგმებს და მისთ. გავრცელებულია აზრი, რომ მათი ცხოვრების წესიც კრეატიულია, ხასიათდება მოქნილობით, არასტერეოტიპული ქცევებითა და დამოკიდებულებებით, თუმცა ამ საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. მკვლევრები თანხმდებიან, რომ კრეატიულობა ბევრი პიროვნული და გარემო ფაქტორის მოქმედების შედეგია. მკვლევართა აზრით, მაღალი კრეატიულობის მქონე პიროვნებას საშუალოდ კრეატიულისაგან განასხვავებს არა ერთი, თუნდაც განსაკუთრებული ფაქტორის, არამედ მრავალ ფაქტორთა ერთდროული არსებობა. ესენია: ინტელექტი, ცოდნა, მოტივაცია, ხელშემწყობი გარემო, შესაბამისი აზროვნების სტილი და შესაბამისი პიროვნული თვისებები. შემოქმედებითი აზროვნებისთვის ყველა ამ ფაქტორის არსებობა აუცილებელია.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

**IV** მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ კრეატიული ადამიანისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობაზე, რომელსაც მისი შინაგანი „მე“ აძლევს ბიძგს და აიძულებს ეძებოს პრობლემის, ამოცანის გადაწყვეტის გზები. ფსიქოლოგიაში ამას ინტრინსიკული მოტივაცია ეწოდება, როდესაც თავად ამოცანა, მისი გადაჭრის პროცესია ადამიანისთვის საინტერესო, განსხვავებით ექსტრინსიკული მოტივაციისგან. ეს უკანასკნელი გარეგანია, ორიენტირებულია შედეგზე, ანუ შექებასა თუ ჯილდოზე, რომელიც ამოცანის შესრულებას მოჰყვება. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ შემოქმედებითი აზროვნება, რომელიც ინტრინსიკულ მოტივაციას ეფუძნება, უფრო პროდუქტიულია, თუმცა ექსტრინსიკულ მოტივაციასაც შეუძლია გარკვეულ დონემდე კრეატიულობის გაზრდა.

**V** მე-20 საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგებმა შემოქმედებითი პროცესის ოთხი ეტაპი გამოყვეს: მოსამზადებელი ეტაპი – პრობლემის გამოკვეთა და მისი გადაწყვეტის გზების მოსინჯვა; ინკუბაცია – პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობის დროებითი შეწყვეტა და სხვა საქმეზე გადართვა; ინსაიტი – „განათება“ – პრობლემის არსში უეცარი წვდომა; შემოწმება – მიღებული შედეგის გამოცდა და გადაწყვეტილების, აღმოჩენის რეალიზაცია.

**VI** ინკუბაციისა და ინსაიტის, აზროვნების მუშაობის ამ არაცნობიერი ეტაპების აღწერა, ჩვეულებრივ, ძალიან რთულია. მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი ინტუიციით მოქმედებს, რადგან პრობლემის გადაწყვეტა ცნობიერების პროცესის გარეშე მიიღწევა. ინტუიცია განიხილება, როგორც შემოქმედებითი აზროვნების მექანიზმი. თუმცა რამდენი მითიც არ უნდა არსებობდეს იმის შესახებ, თუ როგორ „დაეცა ვაშლი თავზე“ მეცნიერს, რამაც ხელი შეუწყო მნიშვნელოვან აღმოჩენას, ერთი რამ ცხადია: შემთხვევით, ცარიელ ადგილზე, დიდი ცოდნისა და დამაბული, ცნობიერი მუშაობის გარეშე დიდი აღმოჩენები არ ხდება.

8. რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?

- (ა) ხაზი გაუსვას კრეატიული აზროვნების მნიშვნელობას საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებაში.
- (ბ) წარმოაჩინოს კრეატიული აზროვნების რაობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.
- (გ) მიმოიხილოს კრეატიული ადამიანის პიროვნული მახასიათებლები.
- (დ) გააანალიზოს შემოქმედებითი აზროვნების ეტაპები.
- (ე) ხაზი გაუსვას ინტუიციის მნიშვნელობას შემოქმედებითი აზროვნების პროცესში.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) კრეატიულობის გამოსავლენად საკმარისია ერთი შინაგანი ფაქტორისა და გარეგანი ფაქტორების ერთდროული არსებობა.
- (ბ) კრეატიულობის გამოსავლენად უფრო მნიშვნელოვანია ინტელექტუალური უნარების არსებობა, ვიდრე ხელსაყრელი გარემო ფაქტორები.
- (გ) თუ ადამიანს კრეატიულობისათვის საჭირო ყველა შინაგანი ფაქტორი აქვს, ის აუცილებლად შექმნის კრეატიულ პროდუქტს.
- (დ) კრეატიულობა ინტრინსიკული და ექსტრინსიკული მოტივაციების ერთდროული მოქმედების შედეგია.
- (ე) თუ ადამიანს კრეატიულობისათვის საჭირო ფაქტორთაგან აკლია თუნდაც ერთი, ის კრეატიულ პროდუქტს ვერ შექმნის.

10. ტექსტის მიხედვით, კრეატიულობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

- (ა) კრეატიულობა ორდინარული აზროვნებაა, რომელიც ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტაში ვლინდება.
- (ბ) კრეატიულობა არის განსაკუთრებული უნარი, რომელიც ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში ვლინდება.
- (გ) კრეატიულობა არის პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც მხოლოდ ინდივიდის გამოცდილებას ამდიდრებს ახალი შინაარსით.
- (დ) იმისათვის, რომ აზროვნების პროცესი კრეატიულად მივიჩნიოთ, საკმარისია მისი პროდუქტი სიახლეს წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის.
- (ე) კრეატიულობა აზროვნების პროცესია, რომლის პროდუქტი სასარგებლო და ფასეულია ინდივიდისათვის.



11. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) ინტრინსიკულია მოტივაცია იმ შემთხვევაში, როდესაც შინაგანი „მე“ უბიძგებს ინდივიდს რაღაცის შექმნისაკენ.
- (ბ) ექსტრინსიკული მოტივაცია არ არის ორიენტირებული ამოცანის შესრულების პროცესზე.
- (გ) ინსაიტი პრობლემის უეცარი გადაწყვეტაა, რომელიც ცნობიერების პროცესის ჩართვის გარეშე ხდება.
- (დ) ინკუბაცია შემოქმედებითი აზროვნების ის ეტაპია, როდესაც ინდივიდი პრობლემის გადაჭრაზეა კონცენტრირებული.
- (ე) დასაჩუქრების მოლოდინი ექსტრინსიკული მოტივაციის განმსაზღვრელია.

## 12. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) პრობლემის გადაჭრა გონებრივი მუშაობის რთული და დამლელი პროცესია, კრეატიულობა კი – შედარებით მარტივი და სასიამოვნო.
- (ბ) დადგენილია, რომ კრეატიული ადამიანების ცხოვრების წესი ისეთივე არასტანდარტულია, როგორც მათი აზროვნების სტილი.
- (გ) დიდ აღმოჩენებს წინ უსწრებს როგორც ინტენსიური ცნობიერი, ისე არაცნობიერი მუშაობა.
- (დ) კრეატიული აზროვნების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვნად პირველი და ბოლო ეტაპებია მიჩნეული.
- (ე) ინტრინსიკული მოტივაცია შემოქმედებითი აზროვნების ხელშემწყობი ფაქტორია, ექსტრინსიკული კი – შემაფერხებელი.

13. რა თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი ტექსტში შემდეგი საკითხები:

- A. არაცნობიერი პროცესების როლი კრეატიულ აზროვნებაში.
- B. კრეატიულობის პროცესის აღწერა.
- C. კრეატიულობის ხელშემწყობი ფაქტორები.
- D. კრეატიულობის განსაზღვრება.

(ა) D, A, B, C

(ბ) B, C, D, A

(გ) C, D, A, B

(დ) D, C, B, A

(ე) A, C, B, D

14. რა მიმართებაა III და IV აბზაცებს შორის?

- (ა) IV აბზაცში გავრცობილია მსჯელობა III აბზაცში ჩამოთვლილ ფაქტორთაგან ერთ-ერთის შესახებ.
- (ბ) IV აბზაცში მოყვანილია არგუმენტი III აბზაცში გამოთქმული აზრის განსამტკიცებლად.
- (გ) IV აბზაცში გაკრიტიკებულია მოსაზრება III აბზაცში განხილული ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ.
- (დ) IV აბზაცში დადასტურებულია III აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.
- (ე) IV აბზაცში შეჯამებულია III აბზაცში წამოჭრილი პრობლემა.

## ტექსტი №3

დღეისათვის ანტიკური ტრაგედიის თეატრალური ასპექტები – მუსიკა, ქორეოგრაფია, სცენოგრაფია, მსახიობთა ხმის ტემბრი თუ მიმოხვრა – დაკარგულია, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისია, რადგან ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ზრდიდა ტრაგედიათა ზემოქმედების ძალას.

ანტიკური თეატრის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არის აღნიშნული, რომ ცნობებს ძველი ბერძნული თეატრის შესახებ გვაწვდის არა იმდენად ტრაგედიათა ტექსტები, არამედ არქეოლოგიური მასალა, ატიკური კომედია, ლარნაკებსა და ძველ ფრესკებზე გამოსახული ფერწერა თუ ძველ ბერძენ ავტორთა სხვადასხვა ჟანრის თხზულებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული დრამის მკვლევრები ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დრამატურგთა ტექსტებს, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პიესის ვიზუალური მხარის შესახებ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, მკვლევრები სრულიად დაუმსახურებლად უგულებელყოფენ ძველ ბერძნულ ტრაგედიათა ტექსტებში ნახსენებ ფერებს, მაშინ, როცა მათი ანალიზის საშუალებით შეგვიძლია აღვადგინოთ ძველი ბერძნული სცენოგრაფიის ცალკეული დეტალი.

ძველ საბერძნეთში დრამატურგები არ იყვნენ უბრალოდ თეორეტიკოსები, რომლებიც მხოლოდ პიესების ტექსტებს წერდნენ, ისინი თეატრის პრაქტიკოსებიც იყვნენ. თავად დგამდნენ სპექტაკლებს, ასრულებდნენ როლებს, ამავედროულად იყვნენ კომპოზიტორებიც და ქორეოგრაფებიც. მართალია, მათ ჰყავდათ დამხმარეები, მაგრამ დამხმარეთა როლი უმნიშვნელო იყო, თეატრს ძირითადად დრამატურგები განაგებდნენ. ამიტომ არის, რომ ძველი ბერძნული დრამის ტექსტში ძალიან მცირეა ექსპლიციტური სცენური მითითებები, თუმცა გარკვეული სცენური მითითებები იმპლიციტურად არის მოცემული პიესების ტექსტებში. სწორედ ამ იმპლიციტურ მითითებებად უნდა მივიჩნიოთ დრამატურგის მიერ ტექსტში ნახსენები ფერები. ძველმა ბერძნულმა თეატრმა მთელი თავისი სისავსით მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში შეიძლება იარსებოს, ხოლო წარმოსახვის შევსებასა და გამრავალფეროვნებაში დიდ დახმარებას ტრაგედიათა ტექსტებში ნახსენები ფერები გვიწევს. ცნობილია, რომ ტექსტებში დრამატურგთა მიერ მიმოხვეულ ისეთ სცენოგრაფიულ დეტალებს, როგორც ფერებია, სპექტაკლების დადგმისას მთელი ანტიკური ეპოქის მანძილზე ითვალისწინებდნენ.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

ანტიკურობის სამი დიდი ტრაგიკოსის, ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიათა ტექსტების ანალიზის საფუძველზე იკვეთება მათი დამოკიდებულება ფერებისა და მათი გამოყენების მიმართ, ცალკეული მათგანის ქრომატული სამყარო. ესქილე საფუძველს უყრის გარკვეულ პრინციპებს, გვთავაზობს ფერთა გამოყენების ერთიან სისტემას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მისი ქრომატული ესთეტიკის ჩამოყალიბება. სოფოკლე თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე ესქილეს ხედვის ერთგულია, მაგრამ თანდათანობით მისი გავლენისაგან თავისუფლდება, ფერი მისთვის მეორეხარისხოვანი ხდება. ევრიპიდე ესქილეს ტრადიციას აგრძელებს, თუმცა თავისი მაძიებელი ბუნებიდან გამომდინარე მას არღვევს და თამამი სიახლეებით ამრავალფეროვნებს. ის ქრომატულ ესთეტიკას, ერთი მხრივ, ტრაგიკული ირონიით, ხოლო, მეორე მხრივ, ფერთა ორიგინალური შეხამებითა და ფერწერული ხედვით ამდიდრებს.

სამი ტრაგიკოსის ფერთამეტყველების ანალიზის საფუძველზე ძველ ბერძნულ ტრაგედიაში ფერები ფუნქციის თვალსაზრისით შემდეგი ტიპების მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს: **ორნამენტული** – გამოიყენება როგორც ორნამენტი, გაფორმება; **ემოციური** – გამოიყენება მაყურებელზე ემოციური ეფექტის მოსახდენად; **კონცეპტუალური** – გამოიყენება გარკვეული თემისა და მოტივის გასაძლიერებლად, გვიმჟღავნებს ამა თუ იმ ეპიზოდის ქვეტექსტს; **საიდენტიფიკაციო** – გამოიყენება ამა თუ იმ პერსონაჟის ამოსაცნობად; **სიმბოლური** – გამოიყენება როგორც გარკვეული თემის, იდეის სიმბოლო; **დრამატული** – გამოიყენება გარკვეული დრამატული მიზნებისათვის; **ფსევდოდრამატული** – გამოიყენება მოულოდნელობის ეფექტის შესაქმნელად.

ჩნდება კითხვა, თუ რა მიმართებაა ტრაგიკოსების ფერთამეტყველებასა და, ერთი მხრივ, ეპიკურ-ლირიკულ ტრადიციას, ხოლო, მეორე მხრივ, კომედიას შორის, ანუ, რა იმემკვიდრეს ტრაგიკოსებმა თავიანთი წინამორბედებისაგან და რა გავლენა მოახდინეს მომდევნო პერიოდის ლიტერატურაზე? დღეისათვის ამ კითხვებზე კვალიფიციური და ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან არც ანტიკური ეპიკური ჟანრისა და ლირიკის, არც კომედიის ქრომატიზმი შესწავლილი არ არის. ამ საკითხის დასმა მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც მკვლევრები იმ მეთოდით შეისწავლიან მასალას, რა მეთოდითაც არის შესწავლილი ანტიკური ტრაგედიის ფერთამეტყველება.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) გაარკვიოს ფერთა ფუნქციები ბერძენ დრამატურგთა ტრაგედიებში.
- (ბ) მიმოიხილოს ანტიკური ეპოქის თეატრის შესახებ არსებული წყაროების საკითხი.
- (გ) გამოკვეთოს დრამის თეატრალური ასპექტის – ფერის – მნიშვნელობა და როლი ანტიკურ თეატრში.
- (დ) ერთმანეთს შეადაროს ფერთა დანიშნულება ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებში.
- (ე) ხაზი გაუსვას ბერძენ დრამატურგთა როლს თეატრალურ წარმოდგენათა დადგმაში.

16. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი გვაწვდის ინფორმაციას ძველი ბერძნული თეატრის შესახებ?

- I. ანტიკური ეპოქის ლარნაკებზე გამოსახული სცენები ბერძნული დრამებიდან.
- II. ანტიკური ეპოქის ფრესკებზე გამოსახული ყოფითი სცენები.
- III. ატიკური კომედიის მითოლოგიური პერსონაჟები.
- IV. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბერძენთა საბრძოლო იარაღი.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და IV
- (ე) მხოლოდ II და III



17. რატომ არის ბერძნულ ტრაგედიათა ტექსტებში ექსპლიციტური „სცენური მითითებები“ მცირე რაოდენობით?

- (ა) ბერძენი დრამატურგები იმპლიციტურ მითითებებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ექსპლიციტურს.
- (ბ) სპექტაკლის დადგმა, კერძოდ, მის ვიზუალურ და აკუსტიკურ მხარეზე ზრუნვა უშუალოდ ბერძენ დრამატურგთა საქმე იყო.
- (გ) ბერძენი დრამატურგები დამხმარეების მეშვეობით აგვარებდნენ პრობლემებს.
- (დ) ბერძენი დრამატურგები კარგი კომპოზიტორები და ქორეოგრაფები იყვნენ.
- (ე) პიესების ტექსტებში იმპლიციტური მითითებები ფერთა შესახებ საკმარისი იყო ვიზუალური ეფექტის მისაღწევად.

18. ანტიკურ ტრაგედიაში „მავედრებელი ქალები“ არაერთგზის არის ხაზგასმული ეგვიპტელთა შავკანიანობა. შესაბამისად, ისინი სცენაზე შავი ნიღბებით იქნებოდნენ წარმოდგენილნი, რათა მაყურებელს ადვილად გაერჩია ეგვიპტელები სხვებისაგან.

ყველაზე მეტად რა ფუნქციით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული ნიღბების შავი ფერი სპექტაკლში?

- (ა) საიდენტიფიკაციო
- (ბ) ემოციური
- (გ) ფსევდოდრამატული
- (დ) სიმბოლური
- (ე) დრამატული

19. ანტიკურ ტრაგედიაში „იფიგენია“ მთავარი გმირები, მენელაოსი და იფიგენია, თმის ბუნებრივი ფერებით – მუქი ყავისფრითა და ჩალისფრით – არიან წარმოდგენილნი.

ყველაზე მეტად რა ფუნქციით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული სპექტაკლში მენელაოსისა და იფიგენიას თმის ამგვარი ფერები?

- (ა) დრამატული
- (ბ) სიმბოლური
- (გ) ორნამენტული
- (დ) ფსევდოდრამატული
- (ე) კონცეპტუალური

20. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ფერების გამოყენების თვალსაზრისით ბერძენი ტრაგიკოსები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.
- (ბ) ყველაზე შემოქმედებითი მიდგომა ფერების მიმართ ევრიპიდესთვის იყო დამახასიათებელი.
- (გ) ანტიკური ტრაგედიის მაყურებელს ფერები, ზოგ შემთხვევაში, ავტორისეული ჩანაფიქრის წვდომაში ეხმარებოდა.
- (დ) თანამედროვე ადამიანს ანტიკური თეატრის სრული სურათის აღდგენა მხოლოდ წარმოსახვაში შეუძლია.
- (ე) ანტიკურ ტრაგედიათა ფერთამეტყველებამ დიდი გავლენა მოახდინა ანტიკური კომედიის ქრომატიზმზე.

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) გაკრიტიკებულია წინა აბზაცში გამოთქმული აზრი.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში წარმოდგენილი საკითხი.
- (გ) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.
- (დ) წარმოდგენილია არგუმენტები წინა აბზაცში გამოთქმული აზრის დასასაბუთებლად.
- (ე) წამოჭრილია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.

# ტესტის დასასრული

ტესტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტესტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტესტი №3	15	16	17	18	19	20	21
----------	---	---	---	---	---	---	---	----------	---	---	----	----	----	----	----	----------	----	----	----	----	----	----	----